



NATIONAL CENTER FOR
EDUCATIONAL QUALITY
ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საგანმანათლებლო პროგრამის
შესახებ

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა
"მათემატიკა"
სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღი: 31 ოქტომბერი

ანგარიშის წარდგენის თარიღი: 19

დეკემბერი

თბილისი

შინაარსი

| | |
|--|----|
| I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ..... | 4 |
| II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა..... | 5 |
| III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან..... | 8 |
| 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა..... | 8 |
| 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზაცია, პროგრამის დაუფლების შეფასების ადეკვატურობა..... | 16 |
| 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა..... | 26 |
| 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა..... | 30 |
| 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები..... | 39 |

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ¹

| | |
|--|---|
| დაწესებულების სახელწოდება მისი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | 212693049 |
| დაწესებულების სახე | უნივერსიტეტი |

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

| | |
|--|--|
| თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | მალტე ბრააკი, კიელის უნივერსიტეტი, გერმანია |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | დიანა მჭედლიშვილი, შპს - კავკასიის უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | გიორგი დალაქიშვილი, სსიპ- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | გიგა ხოსიტაშვილი, სსიპ -ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო. |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | დავით კაკიაშვილი, შპს -გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, საქართველო |

¹ ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის.

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|------------------------------|
| უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება (ქართულად) | მათემატიკა |
| უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება (ინგლისურად) | Mathematics |
| უმაღლესი განათლების საფეხური | დოქტორანტურა (მე-3 საფეხური) |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია ² | მათემატიკის დოქტორი |
| დეტალური სფეროს დასახელება და კოდი | მათემატიკა, 0541 |
| ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება ³ | |
| სწავლების ენა | ქართული |
| ECTS კრედიტების რაოდენობა | 45 კრედიტი |
| პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/არაკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაციის მქონე) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი) | ახალი |
| პროგრამაზე დაშვების დამატებითი მოთხოვნები (სამხატვრო- შემოქმედებითი და/ან სპორტული საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, შემოქმედებითი ტურის/შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაში დაშვების/პროგრამის განხორციელების სპეციფიკური მოთხოვნები.) | |

² უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით.

³ მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის, ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამელი დასკვნა

▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ⁴

სადოქტორო პროგრამა დაშენებულია წინა ორი პროგრამის ფუნდამენტზე. წინა პროგრამები, აქტიური 2012 წლიდან 2019 წლამდე, იყო უფრო სპეციალიზებული, ფოკუსირებული "ფუნქციების თეორიასა" და "დიფერენციალურ განტოლებებზე".¹ მათ საპირისპიროდ, წინამდებარე სადოქტორო პროგრამა გვთავაზობს უფრო ფართო სპექტრს, რომელიც მოიცავს ამ წინა სფეროებს და დამატებით ყურადღებას ამახვილებს "ალგებრა-გეომეტრიაზე". ამ სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტებს მოეთხოვებათ დაასრულონ მოდულები როგორც მათემატიკურ, ასევე ზოგად საგნებში, რომლებიც ჯამში 45 ECTS-ს შეადგენს, პროგრამის უდიდესი ნაწილი ეთმობა მათემატიკურ კვლევით სამუშაოს. ეს მოდულები მოიცავს ზოგად ლექციებს სწავლის თანამედროვე მეთოდების შესახებ და სპეციალიზებულ მათემატიკურ ლექციებს. ამ პროგრამის არსი ტრიალებს დისერტაციის ირგვლივ, რომელიც წარმოადგენს მნიშვნელოვან კვლევით პროექტს. საბოლოო შეფასება დამოკიდებულია დისერტაციის შედეგსა და ხარისხზე.

• აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

ადგილზე ვიზიტმა ექსპერტთა ჯგუფს მისცა ობიექტების შესახებ თავდაპირველი შეხედულების შექმნის შესაძლებლობა, რაც მოიცავდა ბიბლიოთეკას, სემინარის ოთახებს, სალექციო დარბაზებს, ოფისებს და კომპიუტერულ ტექნიკას. დათვალიერებული ინფრასტრუქტურა და აღჭურვილობა მიჩნეულია, რომ აკმაყოფილებს ადეკვატურ სტანდარტებს და უზრუნველყოფს ამ პროგრამაში ჩარიცხული დოქტორანტების წვდომას სათანადო რესურსებზე, რომლებიც აუცილებელია სადისერტაციო ნაშრომის დასასრულებლად. ინტერვიუებმა გამოავლინა, რომ ეს სადოქტორო პროგრამა სარგებლობს გულანთებული კოლეგებისა და უნივერსიტეტის ამბიციური მენეჯმენტისა, რომლებიც მზად არიან განაგრძონ მათი მხარდაჭერა ხელმისაწვდომი ადამიანური და ფინანსური რესურსების ფარგლებში. ეს მხარდაჭერა უზრუნველყოფს, რომ სტუდენტებმა მიიღონ აუცილებელი დახმარება და ფინანსური მხარდაჭერა დაწესებულების შესაძლებლობის მაქსიმუმის ფარგლებში.

• საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

პროგრამა უმეტესწილად შესაბამისობაშია სტანდარტებთან. ზოგიერთ ნაწილში კორექტირება აუცილებელია სრულიად დამაკმაყოფილებელი სასწავლო პროგრამის მისაღებად. საკითხები, ძირითადად დაკავშირებულია საკურსო პროგრამის სიხისტესთან, ზეპირ შეფასებასა და ფინალურ შეფასებაში ქულის მოპოვების გამჭვირვალობასთან, ჩარიცხვის მინიმალურ კომპეტენციებთან და ბიბლიოთეკებში საჭირო მათემატიკური ლიტერატურის ნაკლებობასთან.

სტანდარტები, რომლებიც შეესაბამება მოთხოვნებს: 1,1, 1,2, 1,3, 1,5, 2,1, 2,3, 3,1, 4,1, 4,2, 4,3, 4,5, 5.1, 5.2

⁴ პროგრამასთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი.

სტანდარტები, რომლებიც მეტწილად შეესაბამება მოთხოვნებს: 2.2, 3.2, 4.4 5.3.

სტანდარტები, რომლებიც ნაწილობრივ შეესაბამება მოთხოვნებს: 1.4, 2.4

რეკომენდაციები

- სავალდებულო კურსების მკაცრი დაწესება არ არის შესაფერისი დოქტორანტებისთვის მათი ინდივიდუალური სადისერტაციო თემების გამო და ეწინააღმდეგება აკადემიურ თავისუფლებას. ამიტომ, სავალდებულო კურსები უნდა შეიცვალოს არჩევითი კურსებით, რაც საშუალებას მისცემს თითოეულ დოქტორანტს თავისი სასწავლო გეგმა მოარგოს კონკრეტულ კვლევით პროექტს. ხელმძღვანელებს შეუძლიათ უზრუნველყონ გზამკვლევა ამ არჩევითი საგნების შერჩევისას.
- დეპარტამენტმა უნდა უზრუნველყოს სტუდენტებსა და დაკავშირებული სფეროების მკვლევარებს/მეცნიერებს შორის აკადემიური გაცვლის დამატებითი შესაძლებლობები. ამის მიღწევა შესაძლებელია, მაგალითად, უწყვეტი მოწვევების პროგრამის მეშვეობით, რომელიც მოიცავს მოწვეული სპეციალისტების რეგულარულ ლექციებს, სპეციალური ონლაინ სემინარების დაარსებით, საქართველოში ან სხვა ქვეყნებში არსებული ონლაინ სემინარების გაზრდილი გამოყენების გზით.
- სადოქტორო პროექტების დაწყებისას ხელმძღვანელებმა პერსონალური დახმარება უნდა გაუწიონ სტუდენტებს ინდივიდუალური სალექციო გეგმების შემუშავებაში.
- იმისათვის, რომ სტუდენტები ფლობდნენ კვლევის ჩასატარებლად აუცილებელ ფუნდამენტურ ცოდნას, რეკომენდებულია უნივერსიტეტმა გადააფასოს სასწავლო კომპონენტის კურსებისათვის დადგენილი მინიმალური კომპეტენციის დონე.
- მკაფიო და ცხადი გახდეს კვლევის კომპონენტის შეფასების სისტემა და ხაზი გაესვას ერთჯერად შეფასებასა და პერიოდულ განმავითარებელ შეფასებას დოქტორანტის სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობის პროცესში.
- ორივე საგამოცდო კომპონენტის (დისერტაცია და ზეპირი დაცვა) წონა საერთო შეფასების განსაზღვრისას არ უნდა იყოს დამოკიდებული კონკრეტულ დისერტაციაზე, არამედ უნდა იყოს ერთნაირად რეგულირებული და გამჭვირვალე გამომცდელებისა და სტუდენტებისათვის. ამის მისაღწევად ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულებამ უნდა დაადგინოს ორივე საგამოცდო კომპონენტის (დისერტაცია და ზეპირი დაცვა) თანმიმდევრული შეწონილობა საბოლოო შეფასების გამოთვლისას.
- უნდა დაზუსტდეს პროცესი, რომლითაც სადისერტაციო კომიტეტი განსაზღვრავს საბოლოო სიტყვიერ შეფასებას.
- უნივერსიტეტის/ფაკულტეტის ბიბლიოთეკა უზრუნველყოფილი უნდა იყოს პროგრამით განსაზღვრული საგნების სილაბუსში მითითებული ყველა საბაზისო ლიტერატურით, ნაბეჭდი სახით ან ელექტრონული ფორმით.
- სტუდენტებს უნდა მიეცეთ თავიანთი ხელმძღვანელების ანონიმურად შეფასების შესაძლებლობა. იმ შემთხვევაში, თუ ანონიმური შეფასება შეუძლებელია (მაგ. თუ ხელმძღვანელის და სტუდენტების რაოდენობა ძალიან მცირეა), ფაკულტეტმა უნდა მისცეს შეფასებების ერთობლივი წესით განხორციელების შესაძლებლობა.

რჩევები პროგრამის განვითარებისათვის

- რიცხვითი მათემატიკის, გაფართოებული სტატისტიკის, სტოქასტიკისა და/ან ფინანსური მათემატიკის შესახებ ლექციების კურიკულუმში ჩართვა გააფართოებს კურსდამთავრებულთა კარიერულ შესაძლებლობებს.
- მიზანშეწონილია საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერება.
- ფაკულტეტმა უნდა მოინდომოს ძირითადი მათემატიკური სახელმძღვანელოების და კვლევითი მასალების კოლექციის (მაგ., ლექციის ჩანაწერები) გაფართოება, რომელიც გასცდება კურსის ძირითად ლიტერატურას, რათა მხარი დაუჭიროს და ხელი შეუწყოს დამოუკიდებელ კვლევით აქტივობებს.
- მონაცემთა ბაზების ხელმისაწვდომობა, როგორცაა Web of Science, უნდა მოწმდებოდეს და უნდა ხდებოდეს პოტენციური გათიშვების მონიტორინგი.
- დეპარტამენტმა უნდა გამოავლინოს ახალი დამსაქმებლები საგანმანათლებლო სექტორის გარეთ, რათა გაზარდოს და გაამრავალფეროვნოს დასაქმების შესაძლებლობები.

▪ საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)⁵

- მოდულის აღწერილობების კატალოგი არის ძალიან ყურადღებით და დეტალურად შემუშავებული.

▪ ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე

ექსპერტთა ჯგუფმა მიიღო უსდ-ს პასუხები, რომლებიც მოიცავს გამოხმაურებას დასკვნის პროექტში გაკეთებულ რეკომენდაციებზე. არგუმენტების განხილვის შემდეგ ჯგუფი თანხმდება შემდეგზე:

- რეკომენდაცია სტანდარტზე 1.4: უსდ-მ განაცხადა, რომ შემსუბუქდება სავალდებულო კურსების მკაცრი დაწესება, და დაინერგება არჩევითი კურსები. ექსპერტთა ჯგუფისთვის მისაღებია ეს და უსდ-ს არგუმენტირებული პოზიცია ამასთან დაკავშირებით. ეს რეკომენდაცია კვლავ რჩება დასკვნაში, რათა დანამდვილებით იქნეს შეტანილი პროგრამაში განცხადებული ცვლილება.
- რეკომენდაცია სტანდარტზე 2.2: უსდ ეთანხმება ამ რეკომენდაციას და მიანიშნებს დოქტორანტების სამეცნიერო გაცვლის ამჟამინდელ შესაძლებლობებზე. ექსპერტთა ჯგუფი აფასებს ამ შესაძლებლობებს. თუმცა, მომავალში სამეცნიერო ურთიერთკავშირის ასეთი შესაძლებლობები თანდათან უნდა გაიზარდოს. ეს

⁵ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის

რეკომენდაცია კვლავ რჩება დასკვნაში პროგრამის პოზიტიური განვითარების მხარდასაჭერად. დასკვნაში არგუმენტაცია ოდნავ გაფართოვდა და აღიარებს უსდ-ში სამეცნიერო გაცვლის ამჟამინდელ შესაძლებლობებს.

- რეკომენდაცია სტანდარტზე 2.4 (1): უსდ ეთანხმება ამ რეკომენდაციას და განიხილავს ამ საკითხის გადაჭრის შესაძლებლობებს. რეკომენდაცია რჩება დასკვნაში.
- რეკომენდაცია სტანდარტზე 2.4 (2): როგორც ჩანს, ეს რეკომენდაცია არ იყო საკმარისად მკაფიოდ ჩამოყალიბებული. ჩვენ ხელახლა ჩამოვყალიბეთ ეს რეკომენდაცია.
- რეკომენდაცია სტანდარტზე 2.4 (3), (4): უსდ-ს პასუხი არ ეხება ამ ორ რეკომენდაციას. ისინი კვლავ რჩება დასკვნაში.
- რეკომენდაცია სტანდარტზე 3.2: უსდ ეთანხმება ამ რეკომენდაციას და აანონსებს ამ საკითხის მოგვარებას, როგორც ეს სტანდარტში 1.4 მითითებული. ექსპერტთა ჯგუფისთვის მისაღებია აღნიშნულ ქმედება და იზიარებს უსდ-ს არგუმენტირებულ პოზიციას. აღნიშნული რეკომენდაცია კვლავ რჩება დასკვნაში, რათა უზრუნველყოს განცხადებული ცვლილებების შეტანა პროგრამაში.
- რეკომენდაცია სტანდარტზე 4.4: უსდ ეთანხმება ამ რეკომენდაციას და აანონსებს ამ საკითხის მოგვარებას. ძირითადი სახელმძღვანელოები და მონოგრაფიები ახლა უკვე ხელმისაწვდომი უნდა იყოს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში. ექსპერტთა ჯგუფისთვის მისაღებია ეს მოქმედება. აღნიშნული რეკომენდაცია კვლავ რჩება დასკვნაში, მაგრამ ჩაითვლება მოგვარებულად, როდესაც დამტკიცდება წიგნების არსებობა.
- რეკომენდაცია სტანდარტზე 5.3: უსდ აცხადებენ, რომ დოქტორანტების ხელმძღვანელების შეფასება რეგულარულად ტარდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ. აღნიშნული რეკომენდაცია რჩება დასკვნაში, მაგრამ ჩაითვლება მოგვარებულად, თუ გაცხადებული შეფასებები რეალურად ტარდება.

ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

დაწესებულების საგანმანათლებლო მიზნების განაცხადის თანახმად, ეს პროგრამა შექმნილია მათემატიკის კონკრეტულ სფეროებში სამეცნიერო კვლევების, ახალი ცოდნის გენერირებისა და კვლევებთან დაკავშირებული სხვადასხვა უნარების განვითარებაზე, როგორცაა ანალიტიკური აზროვნება და პრეზენტაციის უნარები. პროგრამა ფოკუსირებულია დოქტორანტების სწავლებაზე, რათა გაიზარდოს მათი ცოდნა ამ სფეროებში. ეს მიზნები შეესაბამება მათემატიკის სამეცნიერო დისციპლინის ევოლუციას.

პროგრამა შეესაბამება აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიას და სტრატეგიულ გეგმას, რომელიც ფოკუსირებულია მაღალი ხარისხის განათლებისა და კვლევის შეთავაზებაზე, სტუდენტების განვითარების ხელშეწყობაზე და პროფესიონალებისა და ლიდერების გამოშვებაზე. უნივერსიტეტი აღიარებს თავის სოციალურ პასუხისმგებლობას და აქტიურად უწყობს ხელს ქალაქისა და რეგიონის განვითარებას უწყვეტი საგანმანათლებლო პროგრამების შეთავაზებით, ახალი ცოდნის გენერირებით და სხვადასხვა მომსახურების მიწოდებით.

პროგრამის მიზნები მიიღწევა ძირითადი კურსებითა და ექსტრაკურსულური აქტივობებით, რომლებიც მოიცავს პერსონალისა და სტუდენტების ჩართულობას სამეცნიერო ფორუმებსა და გაცვლით პროგრამებში, ასევე პროფესიულ პარტნიორობას სკოლებთან და სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებთან. სტუდენტები აქტიურად მონაწილეობენ სწავლასა და დასაქმებასთან დაკავშირებულ საუნივერსიტეტო ღონისძიებებში, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს რეგიონულ განვითარებას.

როგორც პროგრამის აღწერილობაშია ასახული, მოსალოდნელია, რომ წარმატებული დოქტორანტები არსებით წვლილს შეიტანენ რეფერირებად ჟურნალებში. ეს არის ის ძირითადი საშუალება, რომლითაც პროგრამა აქტიურად უწყობს ხელს აკადემიური სფეროს წინსვლას და სარგებელი მოაქვს საზოგადოებისათვის. ეს მიზნები არის როგორც რეალისტური, ისე მიღწევადი და ჩარიცხულ სტუდენტებს სთავაზობს შესაძლებლობას შეიტანონ მნიშვნელოვანი სამეცნიერო წვლილი და გაამდიერონ თავიანთი საერთაშორისო აღიარება. ადგილზე ვიზიტის დისკუსიებმა აჩვენა, რომ პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალი სრულად ადასტურებს ამ მიზნებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- პროგრამის აღწერილობა
- უნივერსიტეტის მისიის განაცხადი,
- თვითშეფასების ანგარიში (SER), და
- ინტერვიუები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

შეფასება

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|-----------------------|------------------------------|---------------------------------------|---|-------------------------------------|
| 1.1 პროგრამის მიზნები | X | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

გამიზნული სწავლის შედეგები იყოფა მათემატიკური კვლევის უნარებად და სწავლების უნარებად. ორივე მნიშვნელოვანია კურსდამთავრებულთა შესაბამისი შრომის ბაზრისათვის. მაშინ როცა კვლევის უნარები ფუნდამენტურია აკადემიურ სექტორში დარჩენილ კურსდამთავრებულთათვის, სწავლების უნარები ასევე მნიშვნელოვანია სკოლებში დასაქმებისთვის. რაც შეეხება სწავლების უნარებს, უსდ-ში ყურადღება გამახვილებულია სწავლების თანამედროვე მეთოდებზე, რომლებიც ისწავლება კონკრეტულ ლექციაზე, პრაქტიკულ მეცადინეობებსა და ორ სემინარზე.

კვლევის უნარებს სწავლობენ მათემატიკური ლექციებით კონკრეტულ თემებზე, რომლებიც შეიცავს უახლეს ცოდნას ანალიზის ან ალგებრა/გეომეტრიის მიმართულებებში, რაც დამოკიდებულია სტუდენტის კონკრეტულ არჩევანზე. თუმცა, ანალიზში სადოქტორო დისერტაციის მქონე სტუდენტებს არ აქვთ შესაძლებლობა მიიღონ კრედიტები ალგებრა/გეომეტრიის კურსებზე და პირიქით. უფრო მეტიც, სტუდენტები, რომლებსაც აქვთ სადოქტორო დისერტაცია ანალიზში (ფუნქციების თეორია) არ იღებენ კრედიტებს დიფერენციალური განტოლებების ლექციებისთვისაც, და პირიქით (დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ 1.4).

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- პროგრამის აღწერილობა
- თვითშეფასების ანგარიში (SER),
- სასწავლო გეგმა, და
- ინტერვიუები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისათვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|--------------------------------|------------------------------|---------------------------------------|---|-------------------------------------|
| 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები | X | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ამ პროგრამის შემუშავება ეყრდნობა მათემატიკაში წინა სადოქტორო პროგრამების საფუძველს. იგი მოიცავს მათემატიკური თეორიის ლექციებს, რომლებიც დაკავშირებულია თითოეულ ინდივიდუალურ სადოქტორო თემასთან, სწავლების თანამედროვე მეთოდოლოგიის შესივსა და მრავალფეროვან სემინარებს. თუმცა, ძირითადი აქცენტი კეთდება დამოუკიდებელი კვლევის ჩატარებაზე. სწავლის შედეგების შეფასება ძირითადად ხდება ზეპირი გამოცდების მეშვეობით ყოველი კურსისა და სასემინარო პრეზენტაციის შემდეგ. პროგრამის კულმინაციას წარმოადგენს ხარისხის მოპოვება სადისერტაციო ნაშრომის წარდგენისა და დაცვის გზით.

პროგრამის ჩარჩო იძლევა მნიშვნელოვანი ავტონომიურობის საშუალებას ინდივიდუალური კვლევის ჩატარებისა და ახალი ცოდნის გაღრმავებისთვის. მორგებული ხელმძღვანელობა და თანამშრომლობა მცირე სამუშაო ჯგუფებში ითვალისწინებს ინდივიდუალურ საჭიროებებს, რაც პროგრამის სტრუქტურაში მოქნილობას უზრუნველყოფს.

ექსპერტთა ჯგუფი თანხმდება, რომ ეს შედეგები შეესაბამება მათემატიკის დოქტორანტურის სტანდარტულ მოლოდინებს, რაც აკმაყოფილებს აკადემიური შრომის ბაზრის მოთხოვნებს.

ფაკულტეტის ადმინისტრაცია რეგულარულად ატარებს ანალიზებს, რათა განახორციელოს სტუდენტების შესრულების მონიტორინგი. პროგრამა ასახავს მის სწავლის შედეგებს, მათემატიკის დოქტორისათვის აუცილებელ ცოდნას, უნარებსა და კომპეტენციებს. შიდა ჯგუფი, პროგრამის პერსონალთან ერთად, იკვლევს სტუდენტის წარმატებას სწავლის შედეგების მიღწევაში. ისინი აზუსტებენ, თუ სად უწევთ სტუდენტების უმეტესობას ძალისხმევის დატანება, უზრუნველბიან სასწავლო გეგმას და მასთან დაკავშირებულ კურსებს. ხდება ცვლილებების შეთავაზება, როგორცაა წინაპირობების, შინაარსის ან სწავლების მეთოდების კორექტირება. და ბოლოს, ანგარიში აერთიანებს შეფასების შედეგებს, ანალიზს და პროგრამის სრულყოფის გზებს. სხვადასხვა გამოკითხვა, მათ შორის შრომის ბაზრისა და დასაქმების ანალიზი, გენერირდება ფაკულტეტის ადმინისტრაციის მიერ და ხდება გაზიარება ფაკულტეტის დეკანთან და პროგრამის ხელმძღვანელებთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- პროგრამის აღწერილობა
- თვითშეფასების ანგარიში (SER),

- სასწავლო გეგმა, და
- ინტერვიუები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|------------------------------|---------------------------------------|---|-------------------------------------|
| 1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი | X | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |

1.4. საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ეს სადოქტორო პროგრამა წარმოადგენს მათემატიკის ორი წინა სადოქტორო პროგრამის ევოლუციას. მათემატიკის დეპარტამენტმა მსგავსი პროგრამები 2012 წელს დაიწყო. თუმცა, წინა პროგრამების მსვლელობისას ჩაირიცხა მხოლოდ სამი სტუდენტი. მათგან ორმა წარმატებით მოიპოვა დოქტორის ხარისხი, ერთი კი აპირებს უახლოეს მომავალში დაცვას. ამ ახალი სადოქტორო პროგრამის დანერგვით, უნივერსიტეტი ელის ჩარიცხვის უფრო მაღალ მაჩვენებელს, განსაკუთრებით ქუთაისის ფართო რეგიონიდან. ამისთვის მნიშვნელოვანია, რომ პროგრამა ჭეშმარიტად მიმზიდველი იყოს მათემატიკის სამაგისტრო პროგრამების ბევრი კურსდამთავრებულისთვის. ეს რთულია იმ თვალსაზრისით, რომ ინდივიდუალური სამუშაო ჯგუფები შედარებით მცირეა, რაც ართულებს სამეცნიერო გაცვლის მრავალფეროვნების მიღწევას. გარდა ამისა, დოქტორანტების უფრო დიდმა კოჰორტამ შეიძლება გააძლიეროს პროგრამის მიმზიდველობა, რადგან ეს ხელს შეუწყობს უფრო შეუფერხებელ სამეცნიერო და სოციალურ გაცვლას.

უდავოა, რომ მათემატიკის კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობის გასაზრდელად და საქართველოში შეზღუდული აკადემიური შრომის ბაზრის დასაკმაყოფილებლად, სასწავლო გეგმის მნიშვნელოვანი გაუმჯობესება გულისხმობს სავალდებულო მათემატიკური კურსების ხისტი სტრუქტურის გადახედვას. ამ სადოქტორო პროგრამის მიზიდველობის გასაზრდელად, ფაკულტეტმა უნდა განიხილოს სავალდებულო კურსებზე მოთხოვნის შემსუბუქება და არჩევით კურსებზე დასწრების შესაძლებლობის დანერგვა. ეფექტური ღონისძიება იქნება ამ პროგრამის ფარგლებში არსებული მათემატიკური კურსების მთელი სპექტრის გახსნა ყველა დოქტორანტისათვის, მათი კონკრეტული კვლევის თემის მიუხედავად. სადოქტორო პროექტის დასაწყისში ხელმძღვანელებს შეეძლებოდათ ეთანამშრომლათ სტუდენტებთან, რათა მოეხდინათ მათი კვლევითი ინტერესების შესაბამისი კურსების იდენტიფიცირება. ეს მიდგომა გვთავაზობს უფრო მეტ აკადემიურ თავისუფლებას და მორგებული სასწავლო გეგმების შემუშავების საშუალებას იძლევა, რაც კონკრეტულად გაითვალისწინებდა მრავალფეროვანი თემების საჭიროებას და მოიცავდა პროგრამის ფარგლებში მრავალ კვლევით სფეროს.

ამ სტრატეგიის განხორციელებით სტუდენტები შეიძენდნენ მოქნილობას იმ კურსების არჩევაში, რომლებიც საუკეთესოდ შეავსებდნენ მათი კვლევის ფოკუსს, რაც ხელს შეუწყობდა უფრო მორგებულ და გამდიდრებულ სასწავლო გამოცდილების მიღებას. ეს არა მხოლოდ გააფართოებს მათ მათემატიკურ ცოდნას, არამედ უფრო შეუფერხებლად შეეხამება კვლევის ინტერდისციპლინურ ბუნებას, რომელიც მოიცავს მათემატიკის მრავალ სფეროს. საბოლოო ჯამში, ეს ინიციატივა გააძლიერებს მათემატიკის კურსდამთავრებულთა საერთო კონკურენტუნარიანობას და ადაპტირებას აკადემიურ ლანდშაფტში.

როგორც წესი, მათემატიკის სადოქტორო პროგრამას მივყავართ უფრო კვლევისა და აკადემიური საქმიანობისაკენ. შედეგად, ამ სადოქტორო პროგრამის ფოკუსი ძირითადად ორიენტირებულია აკადემიურ სამუშაო ბაზარზე და საგანმანათლებლო სექტორის მოთხოვნებზე. ამის იქით, არააკადემიური სამუშაო ბაზარი იშვიათად განიხილება.

რა თქმა უნდა, რიცხვითი მათემატიკის, გაფართოებული სტატისტიკის, სტოქასტიკისა და ფინანსური მათემატიკის შესახებ ლექციების ჩართვა კურსდამთავრებულებს მნიშვნელოვან სარგებელს მოუტანს მათი უნარების კომპლექტის გათანაბრებით სხვადასხვა პროფესიული სექტორის მოთხოვნებთან. ეს კორექტივები არა მხოლოდ აძლიერებს მათ კონკურენტუნარიანობას, არამედ აფართოებს მათ არეალს ბიზნესთან დაკავშირებული ხარისხის მქონე პირებთან შედარებით. რიცხვითი მათემატიკის კურსები გააძლიერებს მათ პრობლემის გადაჭრის უნარებს, ხოლო სტატისტიკისა და სტოქასტიკის გაფართოებული ლექციები გააღრმავებს მათ ანალიტიკურ უნარებს, რაც გადამწყვეტია ისეთ ინდუსტრიებში, როგორცაა ფინანსები, დაზღვევა და ტელეკომუნიკაციები. გარდა ამისა, ფინანსური მათემატიკის გაცნობა მათ აღჭურავს სპეციალიზებული ცოდნით, რომელიც ძალიან მოთხოვნადია ისეთ სექტორებში, როგორცაა ფინანსები და კონსალტინგი.

ამ კურსების ინტეგრაციით პროგრამაში, კურსდამთავრებულებს ექნებათ უფრო მრავალმხრივი და ძლიერი უნარების კომპლექტი, რაც მათ საშუალებას მისცემს განიხილონ

კარიერული შესაძლებლობების ფართო სპექტრი. ეს ადაპტირება უზრუნველყოფს იმას, რომ მათემატიკის კურსდამთავრებულები იყვნენ არა მხოლოდ კონკურენტუნარიანი აკადემიურ სფეროებში, არამედ კარგად მომზადებულნი და გამორჩეულნი სხვადასხვა პროფესიულ ასპარეზზე, რაც აძლიერებს მათ საერთო მიზიდველობას პერსპექტიული დამსაქმებლებისათვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- პროგრამის აღწერილობა
- თვითშეფასების ანგარიში (SER),
- სასწავლო გეგმა, და
- ინტერვიუები.

რეკომენდაციები:

- სავალდებულო კურსების მკაცრად დაწესება არ არის შესაფერისი დოქტორანტებისთვის მათი ინდივიდუალური სადისერტაციო თემებით და ეწინააღმდეგება აკადემიურ თავისუფლებას. ამიტომ, სავალდებულო კურსები უნდა შეიცვალოს არჩევითი კურსებით, რაც საშუალებას მისცემს თითოეულ დოქტორანტს მოიყვანოს თავისი სასწავლო გეგმა კონკრეტულ კვლევით პროექტთან შესაბამისობაში. ხელმძღვანელებს შეუძლიათ უზრუნველყონ გზამკვლევა ამ არჩევითი საგნების შერჩევას.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- რიცხვითი მათემატიკის, გაფართოებული სტატისტიკის, სტოქასტიკისა და/ან ფინანსური მათემატიკის ლექციების კურიკულუმში ჩართვა გაზრდის კურსდამთავრებულთა კარიერულ შესაძლებლობებს.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|------------------------------|---------------------------------------|---|-------------------------------------|
| 1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input checked="" type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |

1.5. აკადემიური კურსი/საგანი

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
 - ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
 - სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
-

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის ზოგადი კურსები მოიცავს თეორიულ ცოდნას, კვლევის მეთოდებს, პრაქტიკულ უნარებს, პრობლემის გადაჭრის უნარებს და უწყვეტი სწავლის ჩვევებისა და სწავლების უნარების განვითარებას, რაც ერთობლივად გულისხმობს პროგრამის სწავლის შედეგებს. მათემატიკური კურსების შინაარსი ძირითადად სათანადო დონეზეა. მათემატიკური კურსების სტრუქტურა ამ დოქტორანტურის პროგრამაში მიზანმიმართულად არის იმგვარად შემუშავებული, რომ უშუალოდ დაეხმაროს და დააწინაუროს სტუდენტები მათ ინდივიდუალურ კვლევით საქმიანობაში. მოდულის აღწერილობების კატალოგი ზედმიწევნით არის შედგენილი და უზრუნველყოფს თითოეული მოდულის ყოვლისმომცველ და დეტალურ აღწერას. გამოყოფილი ECTS კრედიტების რაოდენობა გასაგებია და რეალისტურადაა განსაზღვრული.

სილაბუსებში ასახული საჭირო ლიტერატურა და საგანმანათლებლო მასალები უშუალოდ შეესაბამება კურსის ან საგნის კონკრეტულ სასწავლო მიზნებს, რაც უზრუნველყოფს პროგრამის უფრო ფართო სასწავლო მიზნების შესრულებას. ეს აღნიშნული მასალები არა მხოლოდ შეესაბამება სწავლის სფეროს აკადემიურ მოთხოვნებს, არამედ ემსახურება ინსტრუმენტად განზრახული სწავლის შედეგების მიღწევას. სილაბუსებში ჩამოთვლილი ლიტერატურა მოიცავს უახლეს და ყველაზე რელევანტურ კვლევის შედეგებს მათემატიკური კვლევის შესაბამისი სფეროებიდან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- პროგრამის აღწერილობა
- თვითშეფასების ანგარიში (SER),
- სილაბუსები;
- სასწავლო გეგმა, და
- ინტერვიუები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

შეფასება

პროგრამის შესაბამისობა სტანდარტებთან

| | | |
|--|---|-------------------------------------|
| 1. საგანმანათლებლო პროგრამის ამოცანები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | <input type="checkbox"/> |
| | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | <input checked="" type="checkbox"/> |
| | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | <input type="checkbox"/> |
| | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან | <input type="checkbox"/> |

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზაცია, პროგრამის დაუფლების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები შეესაბამება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს და უზრუნველყოფს გამჭვირვალობასა და შესაბამისობას. როგორც თვითშეფასების ანგარიშშია ასახული, აკრედიტაციის შემდეგ პროგრამის დეტალური აღწერილობა ხელმისაწვდომი იქნება აწსუ-ს ოფიციალურ ვებგვერდზე, www.atss.edu.ge. უფრო მეტიც, უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი რეგულარულად განახლდება შესაბამისი ინფორმაციით, რაც ხელმისაწვდომი იქნება ონლაინ რეჟიმში.

გარდა ამისა, უნივერსიტეტის რექტორი გამოსცემს ნორმატიულ დირექტივას, რომელშიც დეტალურად იქნება აღწერილი პროგრამაში მიღების კრიტერიუმები და პროცედურები. ეს დირექტივა დაუყოვნებლივ აიტვირთება ვებგვერდზე, რაც უზრუნველყოფს ხელმისაწვდომობას და სიცხადეს. ინფორმაციის ფართოდ გასავრცელებლად გამოყენებული იქნება სოციალური მედიის პლატფორმები, რაც საშუალებას მისცემს პერსპექტიულ კანდიდატებს იყვნენ ინფორმირებულნი პროგრამის მიღების მოთხოვნების შესახებ. გარდა ამისა, ჩატარდება საინფორმაციო სესიები, რომლებიც დაინტერესებულ პირებს მისცემს დამატებითი ინფორმაციის მიღების შესაძლებლობას.

სადოქტორო პროგრამაზე დაშვების კრიტერიუმები ზედმიწევნით არის შემუშავებული იმისთვის, რომ კანდიდატები ფლობდნენ საჭირო ცოდნას, უნარებს და ეთიკურ ღირებულებებს. ქვემოთ მოცემულია სადოქტორო პროგრამაზე დაშვების აუცილებელი

წინაპირობები:

- მაგისტრის აკადემიური ხარისხის ან ექვივალენტური დიპლომის ფლობა მათემატიკაში ან მასთან მონათესავე დარგში.
- მათემატიკის დეპარტამენტთან შექმნილი კომისია იღებს გადაწყვეტილებას მონათესავე სპეციალობაში მაგისტრის ხარისხის მქონე კანდიდატების სადოქტორო პროგრამაზე დაშვების თაობაზე.
- დარგის აკადემიური წრეებიდან სარეკომენდაციო წერილის წარდგენა დოქტორანტურის მიმღები კომიტეტის მისამართით.
- კვლევითი სფეროს შესაბამისი რეფერატების ან გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების პრეზენტაცია.
- მათემატიკის მისაღები გამოცდის წარმატებით ჩაბარება.
- ინგლისური ენის B2 დონის ცოდნის დემონსტრირება სერტიფიკატით ან შესაბამისი გამოცდის ჩაბარებით.
- ქართული ენის ცოდნის დამადასტურებელი საბუთის წარდგენა კანდიდატებისთვის, რომლებსაც სურთ ქართულენოვან სასწავლო პროგრამაზე ჩარიცხვა, თუ ქართული არ არის მათი მშობლიური ენა.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტურის მარეგულირებელი ზუსტი კრიტერიუმები და სახელმძღვანელო პრინციპები მოცემულია დადგენილებაში, სახელწოდებით "აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში სადოქტორო სწავლების ძირითადი პრინციპების განსაზღვრის შესახებ", დეტალურადაა აღწერილი აკადემიური საბჭოს 2012 წლის 5 სექტემბრით დათარიღებულ №2 (12/13) დადგენილებაში, შემდგომი ცვლილებებით აკადემიური საბჭოს 2020 წლის 10 აგვისტოს №79(19/20) დადგენილებაში. ამ დოკუმენტზე წვდომა შესაძლებელია შემდეგი ბმულის საშუალებით: [დოქტორანტურის გზამკვლევი დოკუმენტი](<http://www.atsu.edu.ge/geo/gancxadebebi/doctorantura.pdf>).

იმ შემთხვევაში, როდესაც კანდიდატები შეფასებისას თანაბარ ქულებს იღებენ, მათ შორის დიფერენცირებისას, მხედველობაში მიიღება შემდეგი ფაქტორები: სამაგისტრო ნაშრომის შეფასება, გამოქვეყნებული ნაშრომების მოცულობა და სამეცნიერო კონფერენციებში აქტიური მონაწილეობა. ეს კრიტერიუმები გამოიყენება დამატებით ზომებად კანდიდატების განსასხვავებლად კონკურენტულ გარემოში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა "მათემატიკა";
- აკადემიური საბჭოს 21.05.2021 წლის №32 (20/21) დადგენილება - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტურისათვის სადოქტორო სწავლების ძირითადი პრინციპების განსაზღვრის შესახებ;
- აკადემიური საბჭოს 23.07.2022 წლის დადგენილება №67 (22/23) - სტუდენტის სტატუსის მიღების, შეჩერების, შეწყვეტის, აღდგენის პროცედურა, მობილობის, კვალიფიკაციისა და მიღებული განათლების აღიარების შესახებ, საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის/გაუქმების შემთხვევაში, შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები;

- აწსუ-ს ვებგვერდი www.atsu.edu.ge;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამების განვითარებისათვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|--------------------------------------|------------------------------|---------------------------------------|---|-------------------------------------|
| 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები | X | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სადოქტორო პროგრამა შექმნილია იმისთვის, რომ აღჭურვოს სტუდენტები პრაქტიკული კვლევის უნარებით, რომლებიც დაფუძნებულია დარგის უახლეს მიღწევებზე, მოიცავს თანამედროვე სამეცნიერო თეორიებს, მეთოდოლოგიას და კვლევის ჩასატარებლად აუცილებელ ცოდნას. ეს ფუნდამენტური კომპონენტები განუყოფელია პროგრამის როგორც საგანმანათლებლო, ისე კვლევითი ასპექტებისათვის. თეორიული ცოდნის შემავსებელი სემინარები და მოდულის კურსები სტრუქტურირებულია დოქტორანტებში პრაქტიკული კვლევის შესაძლებლობების განვითარებისათვის.

პროგრამის ცენტრალური ნაწილია კვლევის კომპონენტი, რომელიც მიზნად ისახავს კონკრეტული სამეცნიერო პრობლემების მოგვარებას გამოკვლევის გზით და შედეგად მიღებული აღმოჩენების გამოყენებით. ეს ასპექტი ხელს უწყობს სტუდენტების შესაძლებლობების დახვეწას იმაში, რომ ეფექტურად გამოიყენონ თეორიული ცოდნა და პრაქტიკული გამოცდილება მეცნიერულ კვლევაში. საბოლოო ჯამში, პროგრამა მიზნად ისახავს თეორიული ცოდნის რეალურ სამყაროში სამეცნიერო კვლევის პრაქტიკაში გამოყენების უნარების განვითარებას.

დოქტორანტები აქტიურად არიან მხარდაჭერილები, რათა ხელი შეუწყონ კვლევითი ინიციატივების დაგეგმვასა და განვითარებას ფაკულტეტის ფარგლებში, შეასრულონ არსებითი როლი კვლევითი პროექტების ჩამოყალიბებაში. უფრო მეტიც, მათ ეხმარებიან, რომ წარადგინონ თავიანთი სამეცნიერო დასკვნები როგორც ეროვნულ, ასევე საერთაშორისო კონფერენციებზე, აჩვენონ თავიანთი კვლევითი მცდელობების შედეგები.

ადმინისტრაციული ორგანოების გარდა, როგორცაა რექტორატი, დეკანატი ან პროგრამის მიმწოდებელი ჯგუფი, არსებობს ფაკულტეტის, ადმინისტრაციული პერსონალისა და პროგრამის განმახორციელებელი ჯგუფის მხრიდან დოქტორანტების აქტიური მხარდაჭერის მტკიცე ვალდებულება. ეს მხარდაჭერა ვრცელდება რეგიონალურ კვლევით პროექტებში და საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში მათი ჩართულობის ხელშეწყობაზე, რაც ხელს უწყობს მდიდარი და მრავალფეროვანი სწავლის გამოცდილების შექმნას.

გარდა ამისა, დოქტორანტებს ეხმარებიან უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის მიერ ორგანიზებულ ექსტრაკურსულურ აქტივობებში მონაწილეობის მიღებაში. ეს აქტივობები მოიცავს მრავალფეროვან სფეროებს, მათ შორის კვლევით ინიციატივებს, კრეატიულ პროექტებს და საგანმანათლებლო ძალისხმევებს, რაც სტუდენტებს აძლევს შესაძლებლობას გააფართოვონ თავიანთი ჰორიზონტები ფორმალური აკადემიური კურიკულუმის მიღმა.

მინიმუმ ერთ სტუდენტს მოეთხოვება უნივერსიტეტის შიდა საგრანტო პროექტში აქტიურად ჩართვა, პრაქტიკულ ჩართულობას კვლევით ინიციატივებში. დაფინანსება გამოიყო სტუდენტების მონაწილეობის მხარდასაჭერად ბათუმში გამართულ დარგობრივ სამეცნიერო კონფერენციაში, რაცმაც მათ საშუალება მისცა წვლილი შეიტანათ აკადემიურ დისკურსში და გაეფართოვებიათ თავიანთი პროფესიული ქსელი. გარდა ამისა, სტუდენტებს მხარს უჭერენ მონაწილეობის მიღებაში დეპარტამენტის პრეზენტაციებში, თავიანთი სამეცნიერო მოხსენებების წარმოადგენით და თანატოლებთან და ფაკულტეტის წევრებთან შეხვედრების გაცვლით.

სამეცნიერო ხელმძღვანელების შერჩევასაც ხდება სტუდენტების კვლევითი ინტერესების, უზრუნველყოფს შესწავლის არჩეულ მიმართულებასთან შესაბამისობისა და ერთმანეთის ინტერესების გათვალისწინება. სამეცნიერო ხელმძღვანელების შესაბამისი კომპეტენციის დადასტურება წარმოადგენს ამ პროცესის განუყოფელ ნაწილს, რაც უზრუნველყოფს მათ შესაძლებლობას ეფექტურად გაუძღვენ და მენტორობა გაუწიონ სტუდენტებს მათ კვლევით საქმიანობაში.

სტუდენტებს სთავაზობენ სამეცნიერო ზრდის ღირებულ შანსს მათემატიკის ინსტიტუტის სემინარებში, დისკუსიებში რამდენიმე მეცნიერ სტუმართან და საერთაშორისო საგრანტო პროექტებში ჩართულობით. მიუხედავად ამ შესაძლებლობებისა, დეპარტამენტის მცირე კვლევითი ჯგუფები ლიმიტირებულს ხდის ჩარჩოს სამეცნიერო გაცვლისთვის. შესაბამისად, გადამწყვეტია დეპარტამენტისთვის, რომ აქტიურად მოიძიოს და გამოიყენოს ნებისმიერი ხელმისაწვდომი გზა სტუდენტთა სამეცნიერო გაცვლის გამდიდრებისა და გაფართოებისთვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- ფაკულტეტისა და კათედრების სამეცნიერო თემები და მოხსენებები;
- სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში სტუდენტთა მონაწილეობის სტატისტიკა;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- დეპარტამენტმა უნდა უზრუნველყოს სტუდენტებსა და დაკავშირებული სფეროების მკვლევარებს/მეცნიერებს შორის აკადემიური გაცვლის დამატებითი შესაძლებლობები. ამის მიღწევა შესაძლებელია, მაგალითად, უწყვეტი მოწვევების პროგრამის მეშვეობით, რომელიც მოიცავს მოწვეული სპეციალისტების რეგულარულ ლექციებს, სპეციალური ონლაინ სემინარების დაარსებით, საქართველოში ან სხვა ქვეყნებში არსებული ონლაინ სემინარების გაზრდილი გამოყენების გზით.

რჩევები პროგრამების განვითარებისათვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|------------------------------|---------------------------------------|---|-------------------------------------|
| 2.2 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი /შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება | <input type="checkbox"/> | <input checked="" type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |

2.3. სწავლებისა და სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის/საგნის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სადოქტორო პროგრამის ფარგლებში გამოყენებული სწავლება-სწავლის მეთოდოლოგიები მიზანმიმართულად არის შერჩეული, რათა შეესაბამებოდეს პროგრამის ძირითად მიზნებს სპეციალურად მორგებული სწავლის დასახული შედეგების მისაღწევად. ეს მეთოდოლოგიები გააზრებულად არის ასახული სასწავლო გეგმაში და სილაბუსებში, რაც უზრუნველყოფს პროგრამის საგანმანათლებლო მიზნების შესრულებისკენ მიმართულ თანმიმდევრულ მიდგომას.

თითოეული ინდივიდუალური კურსის შინაარსისა და სასურველი სწავლის შედეგების სტრატეგიული გათვალისწინება უზრუნველყოფს სწავლება-სწავლის მეთოდოლოგიების მიზანმიმართულ არჩევანს და გამოყენებას. ეს მიდგომა უზრუნველყოფს, რომ გამოყენებული მეთოდოლოგიები კარგად შეეფერებოდეს კურსის კონკრეტული მიზნების გააზრებას და მიღწევას, რითაც ახდენს სტუდენტებისათვის სწავლის გამოცდილების ოპტიმიზაციას.

ინტერაქტიული მეთოდოლოგიები, როგორცაა დისკუსია, დებატები, შემთხვევის შესწავლა, ინდუქცია-დედუქცია, ანალიზი და სინთეზი, ახსნა-განმარტებითი მიდგომები და მოქმედებაზე ორიენტირებული სწავლება თამაშობენ გადამწყვეტ როლს და მორგებულია სასწავლო კურსების სპეციფიკურ შინაარსზე. გარდა ამისა, სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია ზეპირი და წერიტი მეთოდები, სამეცნიერო წიგნებისა და სამეცნიერო სტატიების სიღრმისეული შესწავლით. დემონსტრირების ტექნიკა კიდევ უფრო ავსებს სწავლების სტრატეგიებს.

დოქტორანტებს ეხმარებიან რეკომენდებული ძირითადი ლიტერატურის გამოყენებაში დამატებით რესურსებთან ერთად, დამოუკიდებელ სამუშაოში ჩართვაში, რომელიც შეესაბამება და აკმაყოფილებს პროგრამის სწავლის მიზნებს. სასწავლო გეგმის ცენტრალური ნაწილია სემინარები, სწავლების პრაქტიკული სესიები და კოლოკვიუმები, რომლებიც წარმოადგენენ ჰოლისტიკური სწავლის გამოცდილებისთვის აუცილებელ ფუნდამენტურ კომპონენტებს.

სადოქტორო სემინარი, პროგრამის მიერ დაწესებული განუყოფელი კომპონენტი, წარმოადგენს პლატფორმას დარგის თანამედროვე კვლევით გამოწვევებში ჩასართავად, აქტუალური და შესაბამისი საკითხების გადასაწყვეტად. ამ სემინარების თემები საგულდაგულოდ არის შერჩეული სადოქტორო დისერტაციის საგნიდან და სასწავლო გეგმის კურსის შინაარსიდან გამომდინარე. სემინარის მიზანია ხელი შეუწყოს ახალი კვლევის მეთოდოლოგიებისა და ანალიტიკური მიდგომების შემუშავებას. მისი მიზნები მოიცავს სიღრმისეულ დისკუსიებს არჩეულ თემაზე, ძირეული პრობლემური საკითხების ყოვლისმომცველ გააზრებას და ავტონომიურობის განვითარებას პრობლემის გადაჭრის პოტენციურ მიდგომებთან დაკავშირებით ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებაში.

აუცილებელია, რომ სადოქტორო დისერტაცია განსხვავდებოდეს სასემინარო ნაშრომისგან. უზრუნველყოფილი უნდა იქნას, რომ სასემინარო თემიდან არცერთი ელემენტი არ იყოს ჩართული სადისერტაციო ნაშრომის შინაარსში. ეს სეპარაცია უზრუნველყოფს სტუდენტის მიერ ჩატარებული სადოქტორო კვლევის კეთილსინდისიერებასა და უნიკალურობას.

კოლოკვიუმი წარმოადგენს სასიცოცხლო სეგმენტს, რომელიც მოიცავს როგორც დისერტაციას, ისე კვლევის კომპონენტებს. კოლოკვიუმის მსვლელობისას დოქტორანტი გააცნობს და წარადგენს სადისერტაციო თემის რელევენტურ კვლევის შედეგებს. კოლოკვიუმის წარმატებით დასრულება დისერტაციის საჯარო დაცვის წინაპირობაა, რაც ხაზს უსვამს ამ აკადემიური ფორუმის მნიშვნელობას კანდიდატის კვლევითი ძალისხმევის დადასტურებასა და კულმინაციის წარმოჩენაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა "მათემატიკა";
- კურსის სილაბუსები;
- აკადემიური საბჭოს 21.05.2021წლის №32 (20/21) დადგენილება - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სადოქტორო სწავლების ძირითადი პრინციპების განსაზღვრის შესახებ;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|-------------------------------|------------------------------|---------------------------------------|---|-------------------------------------|
| 2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები | X | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |

2.4. სტუდენტის შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ცალკეული კურსების სილაბუსები ზედმიწევნით ასახავს სტუდენტების შესაფასებლად გამოყენებულ შეფასების მეთოდოლოგიას, კრიტერიუმებსა და რუბრიკებს, რაც უზრუნველყოფს პროგრამის თითოეული კომპონენტის სწავლის მიზნებთან შესაბამისობას. ეს მეთოდები თანმიმდევრულად გამოიყენება პროგრამის ყველა ასპექტში, რათა დადგინდეს კონკრეტული სწავლის შედეგების მიღწევა. სტუდენტთა მოსწრების შეფასება ექვემდებარება აწსუ-ს მიერ დადგენილ გაიდლაინებს და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს №3 ბრძანებით გათვალისწინებულ დირექტივებს.

სასწავლო კომპონენტის ფარგლებში სტუდენტის მუშაობის შეფასება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული 100-ქულიანი სისტემის მიხედვით. გამოყენებულია შეფასების მეთოდოლოგიები, როგორცაა წერიტი ტესტები, სემინარები, ესეები, პრეზენტაციები და აქტივობები, რომლებიც მორგებულია თითოეული კურსის სპეციფიკურ ბუნებაზე და შეესაბამება პროგრამის სწავლის მიზნებს. თუმცა, გადასალახად განპირობებული მინიმალური კომპეტენციის ზღვრები, რომლებიც დადგენილია შუალედური შეფასებებისთვის 20 ქულით 60-დან და ფინალური გამოცდისთვის 16 ქულით 40-დან, როგორც ეს განსაზღვრულია საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში, შესაძლოა ადეკვატურად არ ასახავდეს დოქტორანტურის დონეზე მოსალოდნელ სიმკაცრეს. აუცილებელია უნივერსიტეტმა გადახედოს და პოტენციურად შეცვალოს ეს მინიმალური კომპეტენციის ზღვრები სასწავლო კომპონენტის კურსებისათვის, იმის გათვალისწინებით, რომ ისინი ემსახურებიან საფუძველს, რომელზეც სტუდენტები განავითარებენ თავიანთ კვლევით შესაძლებლობებს დოქტორანტურის დონეზე.

ინტერვიუების დროს გაირკვა, რომ სტუდენტების პრეზენტაციები სემინარებსა და კოლოკვიუმებზე ექვემდებარება ბინარულ პოზიტიურ ან უარყოფით შეფასებას, რაც განმავითარებელი შეფასების მსგავსია. ეს შეფასება მიზნად ისახავს გასაუმჯობესებელი სფეროების იდენტიფიცირებას და შემდგომი განვითარებისათვის საჭირო ასპექტების ხაზგასმას. თუმცა, გამოიკვეთა შეუსაბამოები კვლევის კომპონენტის სტრუქტურასა და შეფასებას შორის, კერძოდ ერთჯერად შეფასებასა და მიმდინარე განმავითარებელ შეფასებას შორის. ეს სიცხადის ნაკლებობა იწვევს შემფოთებას სამინისტროს №3 ბრძანების შესრულებასთან დაკავშირებით, რომელიც ადგენს კვლევის კომპონენტის შეფასების სტანდარტებს.

აღსანიშნავია პროგრამის ან დისერტაციის დებულებაში განმავითარებელი შეფასების მკაფიო მოხსენიების არარსებობა, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, თუ რა მნიშვნელობა აქვს რეგულარულ განმავითარებელ შეფასებას დოქტორანტის მიერ სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობის დროს. გარდა ამისა, სამინისტროს №3 ბრძანების მე-4

მუხლის მე-17 პუნქტზე მითითებული ფრაზა არ შეესაბამება ბრძანების მიმდინარე ვერსიას.

ამ შეუსაბამობების აღმოსაფხვრელად მნიშვნელოვანია კვლევის კომპონენტის შეფასების სისტემის განმარტება. ეს უნდა მოიცავდეს როგორც ერთჯერად შეფასებას, ასევე რეგულარულ, განმავითარებელ შეფასებებს დოქტორანტის სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობის განმავლობაში. ყოვლისმომცველი შეფასების ჩარჩოს ჩამოყალიბება, რომელიც დაიცავს სამინისტროს №3 ბრძანებას, მიმდინარე განმავითარებელი შეფასებების ინტეგრირებით, უზრუნველყოფდა დოქტორანტების შეფასების უფრო ჯანსაღ და გამჭვირვალე პროცესს.

მიუხედავად იმისა, რომ დისერტაციის შეფასება ემთხვევა სამინისტროს №3 ბრძანებით გათვალისწინებულ პირობებს, შესამჩნევია სიტყვიერი შეფასების განსაზღვრული შკალის არარსებობა. მკაფიო შეფასების შკალის არარსებობა იწვევს შემფოთებას სადისერტაციო კომიტეტის მიერ საბოლოო სიტყვიერი შეფასებისას გამოყენებული მეთოდოლოგიის დადგენაში. სიტყვიერი შეფასების სტანდარტიზებული შკალა უზრუნველყოფდა გამჭვირვალობას და სიცხადეს სადისერტაციო კომიტეტის მიერ გამოყენებულ კრიტერიუმებსა და მიზნობრივ ნიშნულებთან დაკავშირებით. ეს სკალა გამოდგება სახელმძღვანელო ჩარჩოდ, რომელიც საშუალებას მისცემდა უფრო სტრუქტურირებული და თანმიმდევრული მიდგომა ყოვლილიყო დისერტაციების შეფასებისას, სამინისტროს №3 ბრძანების მოთხოვნების დაცვით. სიტყვიერი შეფასების მკაფიო შკალის დადგენა გადაწყვეტია სადოქტორო დისერტაციების შეფასების პროცესში სამართლიანობისა და ობიექტურობის უზრუნველსაყოფად.

დისერტაციის დაცვა ზედმიწევნით იცავს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების (უსდ) მიერ დადგენილ დისერტაციის შეფასებისა და დაცვის პროცედურებს. შეფასების პროცესის ზედამხედველობით დაცვის კომისია დაცვის დროს ასრულებს არსებით როლს. ეს შეფასება მოიცავს როგორც ადგილობრივი, ისე გარე შემფასებლების მონაწილეობას, რაც უზრუნველყოფს ყოვლისმომცველ და მიუკერძოებელ განხილვას. აღსანიშნავია, რომ დისერტაციის დაცვა ტარდება საჯარო ღონისძიების სახით, რაც უზრუნველყოფს გამჭვირვალობას და იძლევა უფრო ფართო აკადემიური ჩართულობის შესაძლებლობას.

სტუდენტები წინასწარ საფუძვლიანად ეცნობიან დისერტაციის ფარგლებში აკადემიური სტილის დაცვის წინაპირობებს. ამ მოთხოვნებს, რომლებიც ასახავს მოსალოდნელ აკადემიურ სტანდარტებს, ითვალისწინებენ შეფასების პროცესში, იმის უზრუნველყოფად, რომ მათი მუშაობის შეფასება შეესაბამება ამ წინასწარ განსაზღვრულ კრიტერიუმებს.

მიუხედავად იმისა, რომ პროგრამა მთავრდება სადისერტაციო ნაშრომისა და დისერტაციის დაცვის შეფასებით, არ არსებობს განსაზღვრული სახელმძღვანელო პრინციპები იმის შესახებ, თუ რა წვლილი შეაქვს ამ ორი კომპონენტს საბოლოო შეფასებაში. გამჭვირვალობის გასაზრდელად პროგრამამ საბოლოო ხარისხის მისანიჭებლად უნდა ჩამოაყალიბოს და წარმოადგინოს მკაფიო პროცედურა. კერძოდ, ორივე კომპონენტისათვის გონივრული შეწონვის სისტემის ჩამოყალიბება და ამ შეწონვის გამჭვირვალობა უფრო მეტ სიცხადეს შესთავაზებს სტუდენტებსაც და შემფასებლებსაც.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა "მათემატიკა";
- სილაბუსები;
- აკადემიური საბჭოს 16.09.2022 წლის №6 (22/23) დადგენილება - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტების შეფასების სისტემის დამტკიცების შესახებ (აკადემიური საბჭოს 2017 წლის 15 სექტემბრის №5 (17/). 18) დადგენილებაში ცვლილებების შეტანა);
- აკადემიური საბჭოს 21.05.2021 წლის №32 (20/21) დადგენილება - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სადოქტორო სწავლების ძირითადი პრინციპების დადგენის შესახებ;
- დისერტაციის შეფასების ნიმუშები;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- იმისათვის, რომ სტუდენტები ფლობდნენ კვლევის ჩასატარებლად აუცილებელ ფუნდამენტურ ცოდნას, რეკომენდებულია უნივერსიტეტმა გადააფასოს სასწავლო კომპონენტის კურსებისთვის დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვრული მაჩვენებელი.
- მკაფიო და ცხადი გახდეს კვლევის კომპონენტის შეფასების სისტემა და ხაზი გაესვას ერთჯერად შეფასებასა და პერიოდულ განმავითარებელ შეფასებას დოქტორანტის სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობის პროცესში.
- ორივე საგამოცდო კომპონენტის (დისერტაცია და ზეპირი დაცვა) შეწონვა საერთო შეფასების განსაზღვრისას არ უნდა იყოს დამოკიდებული კონკრეტულ დისერტაციაზე და უნდა იყოს ერთნაირად რეგულირებული და გამჭვირვალე როგორც გამომცდელების, ისე სტუდენტებისათვის. ამის მისაღწევად ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულებამ უნდა დაადგინოს ორივე საგამოცდო კომპონენტის (დისერტაცია და ზეპირი დაცვა) თანმიმდევრული შეწონილობა საბოლოო შეფასების გამოთვლისას.
- დაზუსტდეს პროცესი, რომლითაც სადისერტაციო კომიტეტი განსაზღვრავს საბოლოო სიტყვიერ შეფასებას.

რჩევები პროგრამების განვითარებისათვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|--------------------------|------------------------------|---------------------------------------|---|-------------------------------------|
| 2.4 სტუდენტების შეფასება | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | X | <input type="checkbox"/> |

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| | | |
|--|---|-------------------------------------|
| 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | <input type="checkbox"/> |
| | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | <input checked="" type="checkbox"/> |
| | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | <input type="checkbox"/> |
| | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან | <input type="checkbox"/> |

3. სტუდენტთა მოსწრება, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის უზრუნველყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელობის გაწევა სათანადო ხარისხით.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდაჭერი სერვისები

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასა და კარიერულ განვითარებაზე კონსულტაციასა და მხარდაჭერას პროგრამაში ჩართული პირების ან/და დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების მიერ. ასევე, სტუდენტს აქვს შესაძლებლობა მისი სწავლების პროცესი იყოს მრავალფეროვანი და ამის შესახებ იღებს შესაბამის ინფორმაციასა და რეკომენდაციას პროგრამაში ჩართული პირების მიერ.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტები სასწავლო პროცესის დაგეგმვისას სარგებლობენ ყოვლისმომცველი კონსულტაციებითა და მხარდაჭერით. დაწესებულებამ დაადგინა რეგულაციები, რომლებიც არეგულირებს სტუდენტის სტატუსის მოპოვებას, შეჩერებასა და შეწყვეტას, ასევე სტუდენტთა მობილობასა და სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარებას. რეზოლუცია №32(20/21) ასახავს დოქტორანტურის ფუნდამენტურ პრინციპებს, რომლებიც მოიცავს საგანმანათლებლო პროგრამისა და პროგრამის ცალკეული კომპონენტების არჩევის პროცედურას და შესაბამისი პროგრამის დოქტორანტის შემდგომი მობილობის უზრუნველყოფის მექანიზმს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში.. სტუდენტები აქტიურად მონაწილეობენ თავიანთი საგანმანათლებლო და კვლევითი კომპონენტების დაგეგმვაში ინდივიდუალური გეგმების მეშვეობით, ფაკულტეტის ადმინისტრაციის, ხარისხის უზრუნველყოფის სერვისებისა და აკადემიური პერსონალის ჩართულობით.

პროგრამა სტუდენტებს სთავაზობს შესაძლებლობას ჩაერთონ ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებში და კონფერენციებში, წარმოაჩინონ თავი სხვადასხვა საერთაშორისო თანამშრომლობაში, როგორც კონფერენციები, სამეცნიერო ვიზიტები უცხოურ უნივერსიტეტებში და უცხოელ პროფესორების მასპინძლობაში. აღსანიშნავია, რომ ფაკულტეტი ინარჩუნებს ნაყოფიერ პარტნიორობას პოლონეთის, ჩეხეთის რესპუბლიკისა და რენის უნივერსიტეტებთან, რაც მოიცავს ერთობლივ სემინარებსა და მასტერკლასებს.

საერთაშორისო პროექტებში, კონფერენციებსა და კვლევით საზოგადოებაში, სტუდენტების ჩართულობის ხელშეწყობის, აგრეთვე სადოქტორო პროგრამის შემდგომი განვითარებისა და გაძლიერების მიზნით, ექსპერტთა ჯგუფი რეკომენდაციას უწევს საერთაშორისო თანამშრომლობის მხარდაჭერას და სტიმულირებას.

გარდა ამისა, დოქტორანტებს შეუძლიათ პროფესორების ჩართულობით მიიღონ ფაკულტეტის შიდა კვლევითი გრანტები. უფრო მეტიც, ახალგაზრდა მკვლევარების ხელშეწყობის მიზნით ისინი იღებენ ფულად ჯილდოს Scopus-ის ან Web of Science-ის სიაში ჩამოთვლილ ჟურნალებში სტატიების გამოქვეყნებისათვის. ფაკულტეტი აქტიურად უწყობს ხელს სტუდენტების კარიერულ განვითარებას, ამაყობს დაწესებულების კურსდამთავრებულთა მაღალი დასაქმების მაჩვენებლით და იღებს დამსაქმებლებისგან შექებას კურსდამთავრებულთა მაღალი კვალიფიკაციისა და აწსუ-ში სწავლის გაგრძელების გამო.

კურსდამთავრებულები ასრულებენ აქტიურ როლს პროგრამის თვითშეფასებაში, გავლენას ახდენენ პროგრამის განვითარებაზე მათი ინიციატივის საფუძველზე ალგებრული მიმართულების დანერგვით. ისინი თანამშრომლობენ უნივერსიტეტთან, მონაწილეობენ პროგრამის განვითარების ღონისძიებებსა და გამოკითხვებში, თანამშრომლობითი მიდგომით პროგრამის სრულყოფის საქმეში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ინტერვიუები სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან ადგილზე ვიზიტისას
- უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში
- საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსები;
- უნივერსიტეტის ვებგვერდი <https://www.atsu.edu.ge/ge/home>
- დადგენილება No32(20/21) აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სადოქტორო სწავლების ძირითადი პრინციპების დადგენის შესახებ;
- დოქტორანტის კმაყოფილების კვლევის ანგარიში;
- მემორანდუმები უცხოურ უნივერსიტეტებთან;
- ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის უზრუნველყოფდებულება;

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- მიზანშეწონილია საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერება.

შეფასება

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|--|------------------------------|---------------------------------------|---|-------------------------------------|
| 3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები | X | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |

3.2. მაგისტრანტა და დოქტორანტა ხელმძღვანელობა

- სამეცნიერო ხელმძღვანელი, სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარმატებით განხორციელებისთვის, სათანადოდ უჭერს მხარს მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს.
- სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამაზე სტუდენტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობა უზრუნველყოფს სამეცნიერო ხელმძღვანელობის სათანადოდ განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტმა შეიმუშავა მარეგულირებელი დოკუმენტები, რომლებიც ასახავენ მაგისტრანტის/დოქტორანტის ხელმძღვანელებისა და თანახელმძღვანელების როლსა და პასუხისმგებლობას, ასევე წესებს მათი დანიშვნის, შეცვლისა და ხელმძღვანელობის პროცესის ზედამხედველობის შესახებ. სადოქტორო დისერტაციის სამეცნიერო ხელმძღვანელი შეიძლება იყოს აკადემიური პერსონალის წევრი (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი) აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან ან სხვა აკრედიტებული დაწესებულებიდან, ემერიტუს პროფესორი ან მოწვეული დოქტორის ხარისხის მფლობელი მათემატიკაში, მნიშვნელოვანი კვლევის გამოცდილებით, დადასტურებული ხარისხითა და პუბლიკაციებით. მათი ექსპერტიზა უნდა შეესაბამებოდეს დოქტორანტის სადისერტაციო თემას, დაგეგმილი კვლევის განხორციელებაში მნიშვნელოვანი გამოცდილების შემატებით.

საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფს დოქტორანტების ხელმძღვანელობას მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მიერ, დასაბუთებულს ინსტიტუციური მონაცემებით (CV/პუბლიკაციები/ნაშრომები). უნივერსიტეტის რეგულაციების მიხედვით, სადოქტორო კვლევის თემები შეესაბამება სტუდენტის ინდივიდუალურ ინტერესებს, რაც იძლევა შესაბამისი ხელმძღვანელის შერჩევის საშუალებას, თუნდაც გარე ხელმძღვანელების მოწვევას. პროგრამა ასევე ითვალისწინებს კვლევის თემის სათაურის და ხელმძღვანელის შეცვლას. ორივე დოქტორანტმა და კურსდამთავრებულმაც გამოხატეს კმაყოფილება თავიანთი ხელმძღვანელების მიმართ, ხშირი კონსულტაციებს გამო კვლევის მეთოდოლოგიაზე, სამეცნიერო ნაშრომის წერაზე, ისევე როგორც დისერტაციის გზამკვლეობაში.

როგორც ზემოთ აღინიშნა 1.4 ნაწილში, სავალდებულო კურსები უნდა შეიცვალოს არჩევითი კურსებით, რომლებიც მორგებული იქნება ინდივიდუალურ სადოქტორო პროექტზე. სადოქტორო პროექტის დაწყებისას გზამკვლეობისთვის, ხელმძღვანელებმა და სტუდენტებმა ერთობლივად უნდა აირჩიონ შესაბამისი კურსები, რომლებიც შეესაბამება მათ კვლევით ინტერესებს. ეს მეთოდი უზრუნველყოფს უფრო მეტ აკადემიურ მოქნილობას, რაც საშუალებას იძლევა შეიქმნას მორგებულ სასწავლო გეგმები, რომლებიც იქნება პროგრამის ფარგლებში სხვადასხვა კვლევითი მიმართულების შესაბამისი.

სამეცნიერო ხელმძღვანელი აქტიურად ერთვება პედაგოგიური პრაქტიკის ზედამხედველობაში, სთავაზობს გზამკვლეველობას და დახმარებას დოქტორანტს სასწავლო პრაქტიკაში ჩართვისას. ეს კომპონენტი სპეციალურადაა შექმნილი იმისათვის, რომ ხელი შეუწყოს სტუდენტის მომავალი სასწავლო საქმიანობისათვის გადამწყვეტი

უნარების განვითარებას.

ხელმძღვანელები დოქტორანტებთან კონსულტაციას უთმობენ კვირაში მინიმუმ ერთ საათს. როგორც ასახულია No. 32 (20/21) რეზოლუციაში, სამეცნიერო ხელმძღვანელი თანამშრომლობს დოქტორანტთან, რათა შექმნას ინდივიდუალური გეგმა, მათ შორის კვლევის მიზნები, დისერტაციის მოკლე აღწერა, საგანმანათლებლო და კვლევის განრიგი, რომელიც მტკიცდება უნივერსიტეტში დოქტორანტსა და ხელმძღვანელს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით ჩარიცხვიდან ორი თვის ვადაში. ეს ხელშეკრულება განსაზღვრავს შესაბამის ვალდებულებებსა და უფლებებს. ინდივიდუალური გეგმა წარმოადგენს ამ ხელშეკრულების ნაწილს. პროფესორს შეუძლია უხელმძღვანელოს მაქსიმუმ სამი დოქტორანტი ერთდროულად.

გარდა ამისა, დაწესებულებამ წარმოადგინა 2018 წლის დოქტორანტების კმაყოფილების კვლევის ანგარიში, რომელიც მოიცავს სამეცნიერო ხელმძღვანელებთან თანამშრომლობის შეფასებებს. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური გეგმავს ხელმძღვანელისა და თანხელმძღვანელის საქმიანობის შეფასებას კითხვარების გამოყენებით.

| მაგისტრების/ დოქტორანტების ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული მონაცემები | |
|--|--|
| სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების რაოდენობა | |
| მაგისტრანტთა/დოქტორანტთა რაოდენობის | |
| თანაფარდობა | |

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- დაწესებულებაში ვიზიტისას სხვადასხვა დაინტერესებულ მხარესთან ჩატარებული ინტერვიუები;
- უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში
- საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსები;
- უნივერსიტეტის ვებგვერდი <https://www.atsu.edu.ge/ge/home>
- დადგენილება No32(20/21) აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სადოქტორო სწავლების ძირითადი პრინციპების დადგენის შესახებ;
- დოქტორანტის კმაყოფილების კვლევის ანგარიში;
- ინდივიდუალური რაოდენობრივი ინდიკატორები.

რეკომენდაციები:

- ხელმძღვანელებმა პერსონალური დახმარება უნდა უნდა გაუწიონ სტუდენტებს ინდივიდუალური სალექციო გეგმების შემუშავებაში მათი სადოქტორო პროექტების დაწყებისას.

რჩევები პროგრამის განვითარებისათვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|--|------------------------------|---------------------------------------|---|-------------------------------------|
| 3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა | <input type="checkbox"/> | X | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |

პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობა

| | | |
|---|---|--------------------------|
| 3. სტუდენტთა მოსწრება, მათთან ინდივიდუალური მუშაობა | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | X |
| | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | <input type="checkbox"/> |
| | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | <input type="checkbox"/> |
| | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან | <input type="checkbox"/> |

4. სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა

საგანმანათლებლო პროგრამის ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას და ასევე, სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, თანამშრომელთა CV-ების, თანდართული დოკუმენტაციის გაცნობისა და უმაღლესი საგანმანათლებლო

დაწესებულების თანამშრომლებთან პირდაპირი შეხვედრებისა და ინტერვიუების შედეგად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე დადგინდა, რომ სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი პირები დასაქმებულები არიან კანონმდებლობისა და დაწესებულების შინაგანაწესის შესაბამისად. პროგრამაში ჩართულია სულ 13 პერსონალი, მათ შორის 11 აფილირებული აკადემიური პერსონალი (3 აფილირებული პროფესორი და 8 ასოცირებული პროფესორი). მნიშვნელოვანია, რომ როგორც აკადემიური, ასევე მოწვეული პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მათ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, ფუნქციებს და მოქმედ კანონმდებლობას. აკადემიური და მოწვეული პერსონალის კარგად დაბალანსებული შემადგენლობა (11 აკადემიური და 2 მოწვეული) მნიშვნელოვნად უწყობს ხელს პროგრამის მდგრადობას.

მონაწილე პერსონალი ფლობს სანაქებო კომპეტენციას, რომელიც დასაბუთებულია მათი პედაგოგიური გამოცდილებით, პუბლიკაციებით საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალებში, წიგნებში/სახელმძღვანელოებში შეტანილი წვლილით, სამეცნიერო საგრანტო პროექტებში ჩართულობით და ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში აქტიური მონაწილეობით. პროგრამის შემუშავებასა და განხორციელებაში გადამწყვეტ როლს ასრულებს პროგრამის ხელმძღვანელი, რომელიც აღჭურვილია საჭირო გამოცდილებითა და სამეცნიერო ნაშრომების ძლიერი პორტფოლიოთი. მისი უშუალო ჩართულობა უზრუნველყოფს პროგრამის გაუმჯობესებისადმი პრაქტიკულ მიდგომას.

გარდა ამისა, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს, რომ პროგრამაში ჩარიცხულმა სტუდენტებმა მიიღონ მხარდაჭერა შესაბამისი რაოდენობის კვალიფიციური ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალისგან. ეს ყოვლისმომცველი მიდგომა ხელს უწყობს პროგრამის საერთო წარმატებას და ეფექტურობას.

| პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი) | პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა | მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი ⁶ | მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი ⁷ | მათ შორის, აფილირებული პერსონალი |
|---|---|---|---|----------------------------------|
| აკადემიური პერსონალის საერთო რაოდენობა | 13 | 13 | 13 | 11 |
| - პროფესორი | 3 | 3 | 3 | 3 |
| - ასოცირებული პროფესორი | 8 | 8 | 8 | 8 |
| - ასისტენტ-პროფესორი | 0 | 0 | 0 | 0 |
| - ასისტენტი | 0 | 0 | 0 | 0 |
| მოწვეული პერსონალი | 2 | 2 | 2 | - |
| სამეცნიერო პერსონალი | 0 | 0 | 0 | - |

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

⁶ ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი

⁷ ძირითადი სწავლის სფეროს კომპონენტების განმახორციელებელი შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი

- თვითშეფასების ანგარიში,
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის CV-ები,
- პერსონალის შრომითი კონტრაქტები,
- უნივერსიტეტის დოქტორანტურის დებულება,
- პროგრამის ხელმძღვანელისა და ადმინისტრაციული პერსონალის უფლება-მოვალეობები,
- ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულება,
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|------------------------|------------------------------|---------------------------------------|---|-------------------------------------|
| 4.1 ადამიანური რესურსი | X | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |

4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია

მაგისტრანტსა და დოქტორანტს ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები და საჭიროების შემთხვევაში თანახელმძღვანელი/თანახელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ კვლევის სფეროში შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ახალი სადოქტორო პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი აკადემიური პერსონალი უფლებამოსილია იყოს დოქტორანტების სამეცნიერო ხელმძღვანელი. მასში შედის 2 აკადემიური დოქტორი, რომლებიც იკავებენ პროფესორის თანამდებობას, და 7 აკადემიურ დოქტორი ასოცირებული პროფესორის პოზიციაზე. გარდა ამისა, არის 1 მოწვეული პროფესორი ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორის წოდებით და კიდევ ერთი მოწვეული პროფესორი, რომელიც არის აკადემიური დოქტორი. ამ მკვლევართა აკადემიური CV-ების და გამოქვეყნებული ნაშრომების საფუძვლიანი შემოწმების შემდეგ, აშკარაა, რომ ხელმძღვანელების კვალიფიკაცია, ერთობლივად, შეიძლება ჩაითვალოს როგორც გამოცდილი სპეციალისტები. მათი ფართო აკადემიური გამოცდილება და მნიშვნელოვანი გამოქვეყნებული ნაშრომები აძლიერებს მათ შესაძლებლობას ეფექტურად წარუძღვენ და ასწავლონ დოქტორანტებს პროგრამაში.

კვლევის თემების შერჩევა შეესაბამება პროგრამის წამყვანი აკადემიური პერსონალის

სამეცნიერო ექსპერტიზას და ეხება თანამედროვე სამეცნიერო საკითხებს. გარდა ამისა, კვლევის თემების არჩევისას გათვალისწინებულია დოქტორანტების ინტერესები და პარტნიორი უნივერსიტეტების პრეფერენციები. ეს მიდგომა უზრუნველყოფს პროგრამის ფარგლებში სადოქტორო კვლევის კარგად მორგებულ და თანამშრომლობით ჩარჩოს.

| სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა | ნაშრომის ხელმძღვანელები | მათ შორის დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე ხელმძღვანელები | მათ შორის, აფილირებული პერსონალი |
|---|-------------------------|--|----------------------------------|
| სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელთა რაოდენობა | 11 | 11 | 9 |
| - პროფესორი | 2 | 2 | 2 |
| - ასოცირებული პროფესორი | 7 | 7 | 7 |
| - ასისტენტ-პროფესორი | 0 | 0 | 0 |
| მოწვეული პერსონალი | 2 | 2 | - |
| სამეცნიერო პერსონალი | 0 | 0 | - |

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში,
- ინტერვიუ აკადემიურ პერსონალთან
- ხელმძღვანელებისა და თანახელმძღვანელების პირადი საქმეები (მაგისტრანტების და დოქტორანტების)
- განხორციელებული კვლევების დამადასტურებელი დოკუმენტები
- ხელმძღვანელთა პუბლიკაციების სია

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|------------------------------|---------------------------------------|---|-------------------------------------|
| 4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია | X | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |

4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს.
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის შესაფასებლად უნივერსიტეტი იყენებს სისტემატურ მიდგომას. ეს შეფასება მოიცავს ყოვლისმომცველ გამოკითხვას, რომელიც აფასებს სტუდენტების კმაყოფილებას პროგრამის თითოეული საგნით და მათი შესაბამისი ლექტორებით. ამ შეფასებების შედეგები ემსახურება საფუძვლად აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის უწყვეტ პროფესიულ განვითარებას. უნივერსიტეტი ავლენს ვალდებულებას ხელი შეუწყოს თავისი პერსონალის ზრდას სამეცნიერო და კვლევით პროექტებში მათი ჩართულობის აქტიური მხარდაჭერით, კონფერენციებში მონაწილეობის წახალისებით და ფინანსური დახმარების გაწევით კონფერენციასთან დაკავშირებული მოგზაურობის ხარჯების დაფარვაში. გარდა ამისა, უნივერსიტეტი ცდილობს გაააქტიუროს აკადემიური პერსონალის სამეცნიერო საქმიანობა, რაც აისახება ფულადი ჯილდოში თანაავტორი სტუდენტებისათვის მაღალრეიტინგულ ჟურნალებში სტატიების გამოქვეყნებისას. უფრო მეტიც, კვლევითი ინიციატივების შემდგომი მხარდასაჭერად შექმნილია შიდა საგრანტო სისტემა.

პერსონალის მოტივაციაში შეფასების შედეგების მნიშვნელობის მტკიცებულებაგამოაშკარავდა პერსონალის CV-ების შესწავლისას და უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან და პროგრამის დაინტერესებულ მხარეებთან ინტერვიუებში. ეს ხაზს უსვამს უნივერსიტეტის მხრიდან შეფასების შედეგების, როგორც პერსონალის განვითარებისა და მოტივაციის ინსტრუმენტისადმი ერთგულებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელებთან;
- ინტერვიუ პროგრამის გამახორციელებელ აკადემიურ პერსონალთან;
- ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის გუნდთან;
- ინტერვიუ ანალოგიური პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან;
- ინტერვიუ უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამების განვითარებისათვის

შფასება

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|--|------------------------------|---------------------------------------|---|-------------------------------------|
| 4.3 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება | X | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |

4.4. მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია საჭირო ინფრასტრუქტურით, სასწავლო სფეროს შესაბამისი საინფორმაციო რესურსებით და პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ტექნიკური აღჭურვილობით.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეჯამება და ანალიზი

ადგილზე ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა უნივერსიტეტის ობიექტები. აღინიშნა ბოლოდროინდელი გარემონტებული საკლასო ოთახები და განახლებული კომპიუტერული ტექნიკა. უნივერსიტეტი ამყობს სხვადასხვა ლაბორატორიებით, რომლებიც ხელმისაწვდომია როგორც სტუდენტებისათვის, ასევე ამ პროგრამაში ჩართული ფაკულტეტის წევრებისათვის. ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზები კარგად არის ორგანიზებული, შეიცავს სექციებს, რომლებიც განკუთვნილია როგორც ინდივიდუალური, ასევე ჯგუფური მუშაობისთვის. აკადემიურ მონაცემთა ბაზებზე წვდომა აძლიერებს ბიბლიოთეკის რესურსებს, უნივერსიტეტს ამჟამად ჩართულია თითქმის 10 მონაცემთა ბაზაში, მათ შორის Science Direct და Scopus, რომლებიც განსაკუთრებით სასარგებლოა ამ სასწავლო პროგრამის სტუდენტებისთვის. უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ინფრასტრუქტურა მზადაა მხარი დაუჭიროს პროგრამის განხორციელებას.

სამწუხაროდ, ადგილზე ვიზიტის დროს, ჩვენმა ჯგუფმა ვერ მოიძია ყველა საჭირო ლიტერატურა, ვერ მოიძებნა პროგრამით განსაზღვრული საგნების სილაბუსში მითითებული ძირითადი მასალები ფიზიკური თუ ელექტრონული ფორმით. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ვიზიტის დასრულებისას, ელექტრონულ ბიბლიოთეკას (<https://elibrary.atstu.edu.ge/lms/>) დაემატა წიგნები. ამის მიუხედავად, სტუდენტებთან გასაუბრებისას აშკარა იყო, რომ დამსწრე სტუდენტები გულმოდგინედ ეძებდნენ და პოულობდნენ სილაბუსში ასახულ საჭირო ლიტერატურას.

მნიშვნელოვანია ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ ბიბლიოთეკის ვებ-გვერდზე მითითებული მონაცემთა ბაზა, Web of Science, მიუწვდომელი იყო უნივერსიტეტში ექსპერტთა ჯგუფის ადგილზე ვიზიტის დღეს. ეს ინფორმაცია არსებითია არსებული რესურსებისა და პოტენციური გასაუმჯობესებელი სფეროების ყოვლისმომცველი გააზრებისათვის. ბიბლიოთეკის რესურსებში ამ ხარვეზის აღმოფხვრამ შეიძლება მნიშვნელოვნად გააუმჯობესოს პროგრამის აკადემიური მხარდაჭერის ინფრასტრუქტურა. გარდა ამისა, უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ (უსდ-მ) უნდა გამოავლინოს ეფექტური სტრატეგიები, რათა არსებითად გაზარდოს მათემატიკური სახელმძღვანელოების ასორტიმენტი სადოქტორო პროგრამის სფეროებში, კონკრეტულად ფოკუსირებული იყოს ისეთ სფეროებზე, როგორცაა ანალიზი, ალგებრა და გეომეტრია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელებთან;
- ინტერვიუ პროგრამის გამახორციელებელ აკადემიურ პერსონალთან;
- ინტერვიუ ბიბლიოთეკის ხელმძღვანელთან;
- მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ვიზუალური შემოწმება,
- უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ვებგვერდი <https://elibrary.atyu.edu.ge/lms/>

რეკომენდაციები:

- უნივერსიტეტის/ფაკულტეტის ბიბლიოთეკა უზრუნველყოფილი უნდა იყოს პროგრამით განსაზღვრული საგნების სილაბუსში მითითებული ყველა ძირითადი ლიტერატურით, ბეჭდური ან ელექტრონული ფორმით.

რჩევები პროგრამის განვითარებისათვის

- მიზანშეწონილია ფაკულტეტმა გააფართოვოს ძირითადი მათემატიკური სახელმძღვანელოების და კვლევითი მასალების კოლექცია (მაგ., ლექციის ჩანაწერები), რომელიც გასცდება ძირითადი კურსის ლიტერატურას, რათა მხარი დაუჭიროს და ხელი შეუწყოს დამოუკიდებელ კვლევით აქტივობებს.
- მონაცემთა ბაზების ხელმისაწვდომობა, როგორცაა Web of Science, უნდა მოწმდებოდეს და უნდა ხდებოდეს პოტენციური გათიშვების მონიტორინგი.

შეფასება

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|-------------------------|------------------------------|---------------------------------------|---|-------------------------------------|
| 4.4 მატერიალური რესურსი | <input type="checkbox"/> | X | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |

4.5 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად შესაძლებელია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეჯამება და ანალიზი

როგორც უნივერსიტეტის მენეჯმენტმა აჩვენა, უნივერსიტეტის მისიის მთავარი ელემენტია ფუნდამენტური მეცნიერებების წინსვლა, განსაკუთრებული აქცენტით მათემატიკაში სადოქტორო პროგრამის განხორციელების პრიორიტეტულობაზე. ეს ვალდებულება სცილდება უბრალო აღსრულების და პროგრამის აქტიურ ხელშეწყობის ფარგლებს, მისი მდგრადი დაფინანსების დადასტურებით.

უნივერსიტეტის ბიუჯეტი ზედმიწევნით ითვალისწინებს მათემატიკის სადოქტორო პროგრამის ფინანსურ სირთულეებს. კერძოდ, ბიუჯეტი მოიცავს პროგრამისთვის გათვალისწინებული შემოსავალს (15320 ლარი) და ფარავს მისი წარმატებით განხორციელებისათვის საჭირო არსებით ხარჯებს. ეს ხარჯები მოიცავს აკადემიური პერსონალის ხელფასს (7,020 ლარი), ადმინისტრაციისა და დამხმარე პერსონალის (3,000 ლარი), კომუნალურსა და გადასახადებს (2,100 ლარი), ინფრასტრუქტურის (1,000 ლარი) და სხვადასხვა ხარჯებს, როგორცაა ღონისძიებები, ტრენინგი, მასალები და სხვა. აუცილებელი ნივთები (2200 ლარი), ჯამში 15320 ლარს.

მიუხედავად იმისა, რომ ბიუჯეტი ცალსახად არ ითვალისწინებს სამეცნიერო ან კვლევასთან დაკავშირებულ ხარჯებს, როგორცაა სამეცნიერო მოგზაურობები, აკადემიური პერსონალის კვლევების გამოქვეყნება, კვლევითი პროექტები, სამეცნიერო ლიტერატურა და მასთან

დაკავშირებული ხარჯები, უნივერსიტეტი აქტიურად უჭერს მხარს ამ მცდელობებს. ფინანსური დახმარება გათვალისწინებულია სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობისთვის, სადაც უნივერსიტეტი ფარავს მგზავრობის ხარჯებს. კვლევითი სამუშაოს წახალისება აშკარაა შიდა გრანტებისა და სტუდენტთა დაჯილდოების პროგრამის საშუალებით, სტუდენტების მიერ საუკეთესო რეიტინგულ ჟურნალებში გამოქვეყნებული გამორჩეული სტატიების აღიარებით.

ზემოთ ჩამოთვლილი ყოვლისმომცველი ფინანსური მხარდაჭერის გათვალისწინებით, ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ პროგრამის მდგრადი დაფინანსება უზრუნველყოფილია. უნივერსიტეტი, თავისი ვალდებულების ფარგლებში ხელი შეუწყოს სამეცნიერო კვლევებს, მათ პროაქტიულ დაფინანსებასთან ერთად, უზრუნველყოფს მათემატიკაში სადოქტორო პროგრამის მუდმივ წარმატებას და ზრდას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან;
- ინტერვიუ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან;
- ინტერვიუ პროგრამაში ჩართული პერსონალთან;

- პროგრამის ბიუჯეტი;
- ინტერვიუ უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|--|------------------------------|---------------------------------------|---|-------------------------------------|
| 4.5 პროგრამის/ ფაკულტეტის/ სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა | X | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| | | |
|-------------------------------------|---|--------------------------|
| 4. სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | X |
| | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | <input type="checkbox"/> |
| | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | <input type="checkbox"/> |
| | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან | <input type="checkbox"/> |

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობანი

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით, პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის შეფასებებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1. შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე დადგინდა, რომ ეს საგანმანათლებლო პროგრამა იყენებს სტანდარტულ მიდგომებს შიდა ხარისხის უზრუნველყოფისადმი, სტრუქტურირებული ციკლის „დაგეგმე, განხორციელე, შეამოწმე, იმოქმედე“ მეშვეობით. ეს ყოვლისმომცველი პროცესი მოიცავს პერსონალის შეფასებას, სტუდენტების გამოკითხვის ფორმების ანალიზს, შიდა ხარისხის შეფასებას და პროგრამის SWOT ანალიზს. ამ შეფასებებიდან მიღებული შედეგები საფუძვლად ედება ხარისხის უზრუნველყოფის შიდა ოფისის რეკომენდაციებს პროგრამის ხელმძღვანელებისა და უნივერსიტეტის მმართველი ორგანოს მიმართ, რაც გზამკვლევობს შემდგომ ინტერვენციებს.

პროგრამების თვითშეფასების ჯგუფები, რომლებიც შედეგებიან როგორც აკადემიური, ასევე ადმინისტრაციული პერსონალისაგან სხვადასხვა ფაკულტეტის დონეებისა და საუნივერსიტეტო სერვისების მიწოდებელი სტრუქტურული ერთეულებიდან, აქტიურად ერთვებიან პროგრამის განხორციელებასა და განვითარებაში. გუნდებში როლები ნაწილდება ინდივიდუალურ კომპეტენციებზე დაყრდნობით. აღსანიშნავია, რომ სტუდენტები და კურსდამთავრებულები არიან თვითშეფასების პროცესის განუყოფელი მონაწილეები, რაც ასახავს ჰოლისტურ მიდგომას.

2011 წლიდან 2021 წლამდე პროგრამის ხანგრძლივი საოპერაციო პერიოდის მიუხედავად, SWOT ანალიზი და შიდა მონიტორინგი თანმიმდევრულად ტარდებოდა უნივერსიტეტის პროცედურების შესაბამისად. 2019 წელს ხარისხის შიდა უზრუნველყოფის შეფასება ჩაატარეს სხვადასხვა ფაკულტეტის კოლეგებმა. მიუხედავად იმისა, რომ თვითშეფასების ანგარიში (SER) ადასტურებს ამ პროცესებს, ექსპერტთა გუნდი აფასებს პროგრამას, როგორც ახალს. ინტერვიუების დროს გუნდმა ყურადღება გაამახვილა აკადემიურ პერსონალსა და ხარისხის უზრუნველყოფის გუნდს შორის კომუნიკაციაზე პროგრამის განვითარების მიზნებში. აკადემიური პერსონალის უმრავლესობამ გამოთქვა თანხმობა ხარისხის ოფისის მიერ მიწოდებულ რეკომენდაციების გათვალისწინებაზე.

დაწესებულება ამყოფს სწავლის მართვის სისტემით (LMS), ინსტრუმენტებსა და მექანიზმებში კარგად გათვითცნობიერებული აკადემიური პერსონალით, რომელიც მხარს უჭერს ტექნოლოგიებით გაძლიერებულ სწავლებას. შესაბამისად, პროგრამა მზად არის საჭიროების შემთხვევაში კურსების ჩატარდეს დისტანციურად ონლაინ. ხარისხის უზრუნველყოფის გუნდმა დაადასტურა რეგულაციების არსებობა, რომლებიც მხარს უჭერენ და აკონტროლებენ ონლაინ სწავლის ინიციატივებს. ეს ასახავს პროგრამის ადაპტირების უნარს და ვალდებულებას, უზრუნველყოს ხარისხიანი სასწავლო გამოცდილება სხვადასხვა მოდალობის მეშვეობით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები
- საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვისა და განხორციელების მეთოდოლოგია
- ხარისხის უზრუნველყოფის გუნდის მიერ შექმნილი გამოკითხვის ფორმები
- ინტერვიუების შედეგები
- უნივერსიტეტის ვებგვერდი

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამების განვითარებისათვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|-----------------------|------------------------------|---------------------------------------|---|-------------------------------------|
| 5.1 ხარისხის შეფასება | X | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეჯამება და ანალიზი

ადგილზე ვიზიტისას გამოიკვეთა, რომ უნივერსიტეტი სტრატეგიულად მონაწილეობს ორ მნიშვნელოვან განზომილებაში მითითებული სასწავლო პროგრამის ხარისხის გარე შეფასებისათვის. უპირველეს ყოვლისა, არსებობს შეთანხმებული ძალისხმევა პროგრამის აკრედიტაციის პროცესიდან გამომდინარე რეკომენდაციების განსახილველად. ინტერვიუების დროს, აკადემიურმა პერსონალმა გამოავლინა თავისი მუდმივი ვალდებულება რეკომენდაციების შესრულების მიმართ, რომლებიც დათარიღებულია 2012 წლით და დაკავშირებულია ორ განსხვავებულ სადოქტორო პროგრამასთან, რომლებიც ახლა ინტეგრირებულია მიმდინარე პროგრამაში. ეს რეკომენდაციები მოიცავდა სასწავლო კურსების გაუმჯობესებას და დამსაქმებელთა ქსელის გაფართოებას.

ხარისხის გარე უზრუნველყოფის მეორე ასპექტი მოიცავს შეფასების პროცესში გარე შემფასებლის ჩართვას. როგორც თვითშეფასების ანგარიშშია ასახული, სასწავლო პროგრამას განიხილა ადგილობრივმა კვლევითმა ინსტიტუტმა (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში) და ბრნოს ტექნიკური უნივერსიტეტის საერთაშორისო რეცენზენტმა (ჩეხეთი). ამ შემფასებლების საერთო გამოხმაურება იყო დადებითი, ხაზს უსვამდა პროგრამის შინაარსის სარგებლიანობას და მხარს უჭერდა მის მუდმივ განვითარებას. სხვა ასპექტებთან ერთად, საყურადღებო რეკომენდაციები ეხებოდა წინაპირობებს, კურსების ვადებს, კურსდამთავრებულთა დასაქმების პოტენციურ შესაძლებლობებს. პროგრამის ხელმძღვანელმა დაადასტურა, რომ ყველა რეკომენდაცია სათანადოდ იქნა გათვალისწინებული პროგრამის დიზაინის ფაზაში.

ინტერვიუების დროს აქცენტი გაკეთდა დამსაქმებლის გამოხმაურებასა და კურსდამთავრებულების მიღწევებზე, როგორც პროგრამის გარე ხარისხის შეფასების განუყოფელ კომპონენტებზე. ეს მიდგომა ხაზს უსვამს ჰოლისტიკური შეფასების სტრატეგიას, რომელიც პროგრამის ეფექტურობის მუდმივი გაზრდის მიზნით აერთიანებს რეალურ შედეგებსა და პერსპექტივებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიშები
- გარე ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები
- მოცემული პროგრამის გარე მიმოხილვები (ადგილობრივი და საერთაშორისო)
- გასაუბრებების შედეგები
- უნივერსიტეტის ვებგვერდი

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|----------------------------|------------------------------|---------------------------------------|---|-------------------------------------|
| 5.2 გარე ხარისხის შეფასება | X | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |

5.3 პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ტარდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით მონაცემთა სისტემატური შეგროვების, შესწავლისა და ანალიზის გზით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეჯამება და ანალიზი

წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, პროგრამა ექვემდებარება ზედმიწევნით მონიტორინგს და პერიოდულ შეფასებას უნივერსიტეტში დადგენილი წესებისა და პროცედურების დაცვით. ეს ინკლუზიური პროცესი აერთიანებს აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალს, სტუდენტებს, კურსდამთავრებულებს და დამსაქმებლებს. ერთობლივი შეხვედრების მეშვეობით იდენტიფიცირებული საჭიროებები განიხილება პროგრამის თვითშეფასების ჯგუფში და შემდგომ წარედგინება ფაკულტეტის საბჭოს. თუ ცვლილებები გამართლებულია, ისინი გადიან შეფასებას აკადემიური საბჭოს მიერ საბოლოო დასამტკიცებლად.

ექსპერტთა ჯგუფმა გამოხატა დიდი დაინტერესება იმით, თუ როგორ არის ყველა დაინტერესებული მხარე ინტეგრირებული ამ მრავალმხრივ პროცესში. სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს უპირველეს ყოვლისა წვლილი შეაქვთელ. ფოსტით დაგზავნილი კითხვარების მეშვეობით, რომლებიც მოიცავს კონკრეტულ სასწავლო კურსებს და საუნივერსიტეტო სერვისებს. აღსანიშნავია, რომ ამჟამად დამუშავების პროცესშია ხელმძღვანელების შეფასება, დაწესებულება აქტიურად მუშაობს სამომავლო განხორციელების ფორმაზე. ვინაიდან ექსპერტთა ჯგუფს ამჟამად არ შეუძლია შეაფასოს მისი ეფექტურობა, ექსპერტთა ჯგუფი რეკომენდაციას უწევს სტუდენტების მიერ ანონიმურ შეფასებებს, რათა შეაგროვოს ღირებული ინფორმაცია მიმდინარე პროგრამის განვითარებისათვის.

დამსაქმებლების გამოხმაურებამ ინტერვიუების დროს დაადასტურა, რომ პროგრამა ადეკვატურად პასუხობს რეგიონულ საჭიროებებს. უნივერსიტეტი ინარჩუნებს მუდმივ დიალოგს საგანმანათლებლო სექტორის დამსაქმებლებთან, ცდილობს გაიგოს მათი მოთხოვნები პირადი

ინტერვიუების მეშვეობით. მაშინ როცა ექსპერტთა ჯგუფი დარწმუნდა უნივერსიტეტის მჭიდრო თანამშრომლობაში დამსაქმებლებთან, მათ შესთავაზეს პროგრამაში ჩართული დამსაქმებელთა ჯგუფის დივერსიფიკაცია საშუალო სკოლების მიღმა.

უნივერსიტეტი იცავს კოლეგიალური შეფასების პრაქტიკას. კონკრეტულად, ყოველი სემესტრის დაწყებისას ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის ოფისი და პროგრამის ხელმძღვანელი თანამშრომლობენ იმ აკადემიური პერსონალის სიის შედგენაზე, რომელთა ლექციებსაც უნდა დაესწრონ. ექსპერტთა ჯგუფის შეკითხვაზე პროგრამის სხვა საერთაშორისო ან ეროვნულ პროგრამებთან შედარების შესახებ, დაზუსტდა და დადასტურდა, რომ უნივერსიტეტმა სადოქტორო პროგრამა შეადარა განვითარებული ქვეყნების რამდენიმე პროგრამას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები
- საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვისა და განხორციელების მეთოდოლოგია
- ხარისხის უზრუნველყოფის გუნდის მიერ შექმნილი გამოკითხვის ფორმები
- ინტერვიუების შედეგები
- უნივერსიტეტის ვებგვერდი

რეკომენდაციები:

- სტუდენტებს უნდა მიეცეთ თავიანთი ხელმძღვანელების ანონიმურად შეფასების შესაძლებლობა. იმ შემთხვევაში, თუ ანონიმური შეფასება შეუძლებელია (მაგ. თუ ხელმძღვანელის და სტუდენტების რაოდენობა ძალიან მცირეა), ფაკულტეტმა უნდა მისცეს შეფასებების ერთობლივი წესით განხორციელების შესაძლებლობა.

რჩევები პროგრამის განვითარებისათვის

- დეპარტამენტმა უნდა გამოავლინოს ახალი დამსაქმებლები საგანმანათლებლო სექტორის გარეთ, რათა გაზარდოს და გაამრავალფეროვნოს დასაქმების შესაძლებლობები.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|------------------------------|---------------------------------------|---|-------------------------------------|
| 5.3 პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება | <input type="checkbox"/> | X | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |

შესაბამისობა პროგრამის სტანდარტებთან

| | | |
|---|---|--------------------------|
| 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობანი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | X |
| | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | <input type="checkbox"/> |
| | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | <input type="checkbox"/> |
| | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან | <input type="checkbox"/> |

თანდართული დოკუმენტაცია (ასეთის

არსებობის შემთხვევაში): უმაღლესი

საგანმანათლებლო დაწესებულების

სახელწოდება:

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების დასახელება, საფეხური:

შესაბამისობა პროგრამის სტანდარტებთან

| შეფასება სტანდარტი | შესაბამისობა შია | მეტწილად შესაბამისობა შია | ნაწილობრივ შესაბამისობაშია | არ შეესაბამება მოთხოვნებს |
|--|--------------------------|---------------------------------|-------------------------------|------------------------------|
| 1. საგანმანათლებლო პროგრამის ამოცანები, სწავლის შედეგები | <input type="checkbox"/> | X | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |
| და მათი შესაბამისობა პროგრამასთან | <input type="checkbox"/> | X | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |
| 2. სწავლების მეთოდოლოგია და | <input type="checkbox"/> | X | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |
| 3. სტუდენტთა მოსწრება, მათთან | X | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |
| 4. სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა | X | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |
| 5. ხარისხის უზრუნველყოფის შესაძლებლობათა სწავლება | X | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |

ხელმოწერები:

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

მალტე ბრააკი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების

დიანა მჭედლიშვილი

გიორგი დალაქიშვილი

გიგა ხოსიტაშვილი

დავით კაკიაშვილი